საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 07-01/20

ქ. ბათუმი 27 აპრილი, 2023 წელი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარგებლობაში მყოფი, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ შენობებში (კორპუსებში), ავტომატური სავაჭრო აპარატების დასადგმელად ფართის იჯარის ფორმით გაცემაზე ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის
თანხმობის მიცემის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, წესდების მე–10 მუხლის, ,,ბსუ-ს სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობების (კორპუსების) ნუმერაციის შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2021 წლის 15 სექტემბრის №01-10/77 ბრძანების, ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 25 აპრილის №450036 სამსახურებრივი ბარათის, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 27 აპრილის სხდომის №07-02/04 ოქმისა და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს მიეცეს თანხმობა ბსუ-ს სარგებლობაში მყოფი, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფართების მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, 2 (ორი) წლის ვადით იჯარით გაცემაზე, ხსნადი ყავის და ავტომატური სავაჭრო აპარატების დასადგმელად, პირობებიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით შემდეგ მისამართებზე:
   ა) ბსუ-ს **№1 კორპუსის მეორე სართულის დერეფანში და მესამე სართულზე ბიბლიოთეკაში** (მდებარე ქ. ბათუმში, რუსთაველი/ნინოშვილის ქ. №32/35, ს.კ. №05.23.03.004, მესაკუთრე სახელმწიფო), თითოეულ სართულზე **სამი კვ.მ. ფართი** ერთი ხსნადი ყავის და ერთი ავტომატური სავაჭრო აპარატის დასადგმელად, **სულ ექვსი კვ.მ.**;
   ბ) ბსუ-ს **№2 კორპუსის მეორე და მეოთხე სართულის დერეფნებში** (მდებარე ქ. ბათუმში, რუსთაველი/ნინოშვილის ქ. №32/35, ს.კ. №05.23.03.004, მესაკუთრე სახელმწიფო), თითოეულ სართულზე **სამი კვ.მ. ფართი** ერთი ხსნადი ყავის და ერთი ავტომატური სავაჭრო აპარატის დასადგმელად, **სულ ექვსი კვ.მ.**;

გ) ბსუ-ს **№4 კორპუსის პირველი სართულის დერეფანში** (მდებარე ქ. ბათუმში, ფიროსმანის ქ. №12, ს.კ. №05.24.05.189, მესაკუთრე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა), **სამი კვ.მ. ფართი** ერთი ხსნადი ყავის და ერთი ავტომატური სავაჭრო აპარატის დასადგმელად;

დ) ბსუ-ს **№6 კორპუსის მეორე სართულის დერეფანში,** (პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი, მდებარე ქ. ბათუმში, ლეონიძის ქ. №15, ს.კ. №05.25.12.026, მესაკუთრე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა), **სამი კვ.მ. ფართი** ერთი ხსნადი ყავის და ერთი ავტომატური სავაჭრო აპარატის დასადგმელად;

2. ეთხოვოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ამ გადაწყვეტილების შესასრულებლად შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.
3. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს და საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია).
5. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. № 30.) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **ჯემალ კარალიძე**